ხელშეკრულება N8
მომსახურების შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

31 მაისი, 2019 წელი **ქ.თბილისი**

ერთის მხრივ შპს „სტარტაპ საქართველო“ (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ლომიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ორისი“ (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი, დირექტორის დავით გოთოშიას სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული პაკეტის შესყიდვა (CPV 48443000).

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი ახორციელებს საბუღალტრო პროგრამა „ორისის“ (A05M - 5მომხმარებლიანი, მულტისავალუტო) განახლებას.

3.2. მომსახურების გაწევის ვადა - 2019 წლის 10 ივნისამდე.

3.3. მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ N12ბ.

4. სახელშეკრულებო ღირებულება

4.1. საერთო სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 800 (რვაასი) ლარის.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. მომსახურების დასრულების შემდეგ მხარეებს შორის გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი გაწეული მომსახურების შესაბამის ღირებულებაზე;

5.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ,,მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე;

5.3. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაწეულ მომსახურებაზე გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

5.4. ანგარიშსწორება განხორციელდება 5.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. მომსახურების შესაბამისობა

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა იყოს ინტენსიური, რეგულარული ხასიათის და პასუხობდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.1.1.აწარმოოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

7.1.2.განაცხადოს უარი უხარისხო (როდესაც გაწეული მომსახურება არ არის ვარგისი მისი ჩვეულებრივი სარგებლობისათვის) ან არასრული მოცულობით გაწეული მომსახურების მიღებაზე;

7.1.3.ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს ხარისხის კონტროლი, რისთვისაც შესაძლებელია მოწვეულ იქნეს ექსპერტი;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე–5 მუხლით გათვალისწინებული პირობებით;

7.2.2. დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

7.3.1. მოითხოვოს და მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველისათვის ხარისხიანი მომსახურების გაწევა;

7.4.2. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების ჩატარების დროს.

8. ინსპექტირება

8.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად;

8.2. ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს ბუღალტერი ნათია ლომიძე;

8.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) მიერ ხარისხის კონტროლის ჩატარების შემთხვევაში თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, შემსყიდველი აცნობებს მიმწოდებელს წერილობით ამის შესახებ.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა;

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიზარდოს სახელშეკრულებო ღირებულება არაუმეტეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტისა;

9.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.6. იმ შემთხვევაში თუ გაიზრდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომხმარებელთა რაოდენობა, ხოლო გაზრდის შედეგად საერთო მომხმარებლების რაოდენობა დაექვემდებარება სხვა საფასურის განაკვეთს, ყოველი ახალი მომხმარებლისათვის საფასური განისაზღვრება ახალი განაკვეთის მიხედვით, ხოლო უკვე რეგისტრირებული მომხმარებლების საფასურის განაკვეთი არ შეიცვლება და გადახდილი

თანხა უკან დაბრუნებას არ დაექვემდებარება;

9.7. მომხმარებელთა რაოდენობის შემცირების შემთხვევაში არსებული საფასურით დადგენილი საერთო ღირებულების სხვაობა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება;

9.8. ხელშეკრულება ან მისი რომელიმე დებულება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%–ს ოდენობით;

10.2. ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.1%-ს ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

10.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%–ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

11. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო 7 (შვიდი) კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით

მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 10 ივლისამდე.

14. სალიცენზიო პირობები

14.1. პროგრამის ერთკომპიუტერიანი ვერსიის ლიცენზიის შემთხვევაში, თქვენ გაქვთ უფლება იმუშაოთ თქვენს ერთ კომპიუტერზე, ან ქსელური ლიცენზიის შემთხვევაში – ლოკალურ ქსელში ჩართულ შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე.

14.2. უფლებების გადაცემა

თქვენ შეგიძლიათ გადასცეთ სალიცენზიო უფლებები მესამე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულების ყველა პირობა. ამ შემთხვევაში, თქვენ უნდა გადასცეთ მესამე მხარეს პროგრამა და სხვა თანმხლები მასალა, ხოლო თქვენს კომპიუტერზე წაშალოთ პროგრამის ყველა ასლი.

14.3. შეზღუდული გარანტია

მომხმარებლის მიერ პროგრამის შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში შპს ორისი უზრუნველყოფს პროგრამის კომპიუტერზე დაყენებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებულ სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას შპს ორისის ტერიტორიაზე. შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში გაქვთ უფლება მიიღოთ პროგრამის განახლებული ვერსიები, იმ შემთხვევაში თუ პროგრამის განახლებული ვერსიები გამოშვებული იქნება შპს ორისის მიერ აღნიშნულ ვადაში.

14.4. გარანტიების არარსებობა

პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია "როგორც არის" ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს მომხმარებლის ყველა მოთხოვნას. შპს ორისი არ გაძლევთ გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა. შპს ორისი არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან ირიბ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი თუ შპს ორისი წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ.

არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.

15.განსაკუთრებული პირობები

15.1მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი

კანონმდებლობით;

15.2.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს იურიდიული ძალა აქვს;

15.3ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება ,,მიმწოდებელს", ხოლო ორი ინახება შემსყიდველ ორგანიზაციაში.

16.მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შპს „სტარტაპ საქართველო"	შპს "ორისი"
ი/მ ქ. თბილისი, ინოვაციების ქ. N7	მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N12ბ
ფ/მ ქ. თბილისი, ვუკოლ ბერიძის ქ. N6	სს "საქართველოს ბანკი"
ს/კ 404 515 468	ბანკის კოდი: BAGAGE22
	ა/ა GE88 BG00 0000 0120 1216 01
	ს/კ 206 033 754
დირექტორი	დირექტორი
გიორგი ლომიძე	დავით გოთოშია

Startup Georgia LLC Digitally signed by Startup Georgia LLC Date: 2019.05.31 17:03:43 +04'00'

Ltd ORIS Digitally signed by Ltd ORIS Date: 2019.05.31 17:32:08 +04'00'